საქართველოს მთავრობის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№1916 2018 წლის 9 ოქტომბერი ქ. თბილისი

უძრავი ქონების სასყიდლიანი სარგებლობით გადაცემაზე საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

1. „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, მიეცეს თანხმობა საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციას, რომ საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ადმინისტრაციული შენობის (მდებარე ქ. თბილისში, პ. ინგოროყვას ქ. №7-ში) III სართულზე არსებული წინასწარ განსაზღვრული ფართი ბანკომატების განთავსების მიზნით, იჯარის ფორმით, აუქციონის გარეშე, შესაბამისი ხელშეკრულების დადებიდან 3 წლის ვადით, ყოველთვიური საიჯარო ქირის – 90 (ოთხმოცდაათი) ლარის სანაცვლოდ სარგებლობაში გადასცეს შესაბამის იურიდიულ პირებს.

2. საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციამ, ამ განკარგულების შესრულების მიზნით, განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიებები.

პრემიერ-მინისტრი **მამუკა ბახტაძე**